

პიონერი

პირველი
თებლისა

14
1940

პეპე შიში სგა



წალიწალი
პიონერები

1940 წ.

ნოემბერი № 11

ბათუმის
„კომუნისტი“

სა. ალბაძე გვ. ს. ბაქრაძე



საოქტომბრო სიმღერა

მუხამან ლუბანიძე

განახლებულ ბუკოვინას,
განახლებულ ესტონეთს,
თეძესმეტ არწივს მნადწეფიკულს
ეს სიმღერა ესმოდეს,
გაღიაროს ცა და მიწა,
ტყე დროშათა აფრების...
გულებს ჩასწვდეს ეს სიმღერა
სიხარულით ნაფერი!
ლურჯი ღილის აყვავებას
მზის ფერების თილისმით,
ღროშებს — წითელ ყაყაჩოებს —
უმღერს ჩემი თბილისი...
მღერის გულში... ეს სიმღერა
მთებს გასცდება, ვადუვლის,
შეეღერდება მილიონთა
გული, როგორც ფანდური.
თვალი ტკბება, როცა ვუსტერ
ცას, ღროშებით მოფენილს,
გაბადრულა ჩემი ქვეყნის
ქალაქი და სოფელი.

ღვივის მიწა... წელს რამდენი
მოუსხია მანდარინს,
ლამის თვითონ ამოდულდეს
მთის მკერდიდან მადანი.
ჩრდილეთიდან დღეს კოლხიძის
ჩარინჯოვან ბალამდე
საოქტომბრო სიხარული

და ხალისი ღალადებს. .
მაშ გულს გულის ძაფთა თრთოლა
და ოცნება ეამოდეს,
ყოველწლიობით ოქტომბერი
ძალს გვატებდეს ესოდენ,
ამ მზის მეჯლისს სიმღერების
თაიგულებს ვესროდეთ!



ვ. შ. შ.



როგორ ანსვიზაქბა ყველას პაქაქა ბიჭი

ანროლ მაქაქაქი

გაზაფხულის მშენიერი დილა იყო და ყველა-ფერი ყვავიდა. დიდრონი ხეები, თუ ქალაქის ქუჩე-ბში დარგული ბუჩქები—სურნელბას აფრქვევდნენ. ჩიტები არ ვრიდებოდნენ აღამიანებს და ბაღებში მწვანე ტოტებზე შემომსხდარნი საამურად ვალოზ-დნენ.

ამ დღეს აღრიანად ვაღვიძებოდა ვერმანის ერთ პატარა ქალაქ ბარმენს. წყნარი და თბილი დილით ვაღალბებული ხალხი ვათენებდინე ვამოსულიყო ბინებდიან. ქუჩებში მოძრაობა იყო. ზოგი საით მიეჩქარებოდა და ზოგი საით.

ორი პატარა ბიჭუნაც, რომელთაც ხელში წიგნები ეჭირათ, მარდად მიხტოდნენ, მიბაასოდნენ. საუბარში შეუქმნეველად ვაიარეს პროსპექტი და მერე მარჯვნივ, ვიწრო ქუჩაში, შეუხვიეს.

უცებ მათი ყურადღება ყრუ ხმაურმა მიიპყრო. საიდანაც მოისმოდა რაღაც ტირილის მსგავსი, ვაგულული ხმაური. ბიჭუნები შედგნენ.

— რა უნდა იყოს, ფრიდრიხ? — იკითხა ერთმა.
— ვილაც ტირის, მაგრამ სად? არც მე ვიცი! — უპასუხა ამხანავს ქერა და ვეკირცხლმა ბიჭმა.

— ისევ მიყურადეს. თითქო ქვესქელიდან ამოდოდა ხმაური. ქერა ბიჭში უსაზღვრო ცნობისმოყვარეობამ ვაიღვიძა. — აღლოფ, — უთხრა მან მეორეს, — ისე არ ვაქვალ, თუ არ ვაგივე ვინ ტირის.

და ბიჭმა რამდენიმე ნაბიჯი ვადაღდა წინ. უცებ მან ქვის კიბე შენიშნა, რომელიც ქვევით ჩაღიოდა.

— აღლოფ, — კვლავ დუძახა ამხანავს, — ვაქვიდეთ, მომყე!

აღლოფი მივიდა კიბესთან, ჩაიხედა ქვევით და სიბნელის ვარდა ვერა ვაარჩია რა.

— ფრიდრიხ, — წამოიძახა აქანკალბული ხმით, — მე მანდ მეშინია, მე ვერ ჩამოგყვები.

მაგრამ ფრიდრიხმა არც კი დაამთავრებინა სიტყვა, სტაცა ხელი მაჯაში და ძალით წაათრია.

ფრთხილად ჩაღიოდა ქერა ბიჭი ქვევით და ჩაპყავდა თავისი ამხანავი. ტირილი უფრო და უფრო ვკათიოდა ისმოდა.

შედევ ისინი მიადგნენ ერთი ოთახის კარებს. აი ამ ოთახში ტიროდა ვილაც. ფრიდრიხი ხელით მიაწვა კარს. კარი ვაიღო. მაგრამ ოთახში არაფერი არ ჩანდა.

— ეი, ვინ ტირის მანდ? — დაიძახა ქერა ბიჭმა.

— მე, მე ვტირო... — ტირილით უპასუხა ვილაცამ.


— შენ ვინ ხარ?

— აი აქ, მე კარვად ვხედავთ.

— მაქსი...

— მე ვერ ვხედავ შენ, სადა ხარ?

მაქსი სულ სიბნელეში იყო და იმისი თვალები კარვად ამწვებდა ქველაფერს. ფრიდრიხისა და





ცხრაშეტი წლის
ფრიდრიხ ენგელსი

მაშინ ხომ შევარცხვენდნენ და საქციელს არ მოუწონებდნენ.

— რა იყო მიზეზი — მეტეი, მიპასუხე.

— არ ვიცი.

— მაშ, წადით ახლა და თქვენს მშობლებს მოახსენეთ ყველაფერი, — თქვა ბოლოს მასწავლებელმა და სკოლიდან დაითხოვა ეს ორი ბიჭი.

აღოლფი ძალიან გაბრაზდა. სულ შენი ბრალიყო, ეუბნებოდა ფრიდრიხს, შენ დამავიანეთო. ფულიც მიეცი ვიღაც დამშუულ ბავშვსო, მაგრამ ჭერა ბიჭი ხმასაც არ სცემდა, თავდახრილი მიდიოდა შინისაკენ.

დღეა ძალიან გააკვირვა ფრიდრიხის ასე აღრე დაბრუნებამ.

— აუღ ხომ არა ხარ, ჩემო ბიჭუნა, რა მოგივიდა? — მიძახა დანახესთანავე თავის ლუროს ვაჟს. ფრიდრიხმა ყველაფერი უამბო დედას.

მამამ, რომელიც განსაკუთრებით ზრუნავდა შვილებზე, გაოგნო თუ არა ფრიდრიხის დაბრუნება, მინანება თავი სამშუაოს და თავის ბავშვით სკოლისაკენ გასწია.

— თქვენი ვაგი ძალიან წესიერი და ნიჭიერი, — უთხრა მასწავლებელმა მამას, — ასე პატარაა და უკვე რამდენიმე ენაზე ლაპარაკობს. მაგრამ დღეს დაიგვიანა, მიზეზს კი არ ამბობს.

— ის ხომ აღრე წამოვიდა სახლიდან! — გაიკვირვა ენგელსმა.

მოიხმეს კამინეტში ფრიდრიხი. მაგრამ მან კრინტიც არ დაძრა. მაშინ დაუძახეს ადოლფს. ადოლფმა ყველაფერი თქვა. „გარდა ამისა, ფრიდრიხს უცნაური ჩვეულება დასჩემდა, — ამბობდა იგი, — დადის ქარხანაში, ელაპარაკება ჭუჭყიან ბავშვებს, ესარჩლება მათ და ზოგჯერ ფულითაც ემხარება“.

მეორე დღეს ფრიდრიხს სკოლაში ჩვეულებრივ დროს მივიდა. წიგნებიდან ქალაქი ამოიღო და გაშალა. ქალაქზე დახატული იყო ძაღლის მსგავსი ცხოველი, რომელსაც კუდი და ფეხები ძაღლისა ჰქონდა, თავი კი...

— ეს ხომ ადოლფია! — დაიძახა ერთმა.

— ადოლფი, ადოლფი! — ახმაურდა კლასი. შეიქნა ერთი სიცილ-ხარხარი, ხმაური.

ადოლფი კი სიბრაზით სულ გაფითრდა.

— მაშ კარიკატურაში ჩაწაბტე, არა? — უთხრა ფრიდრიხს.

— განა მარტო კარიკატურა? ავერ ლექსიც, წიკითხე!

კარიკატურას ქვეშ მიწერილი ჰქონდა: „ძალი ყვეს, ქარაინი მიდის“. მერე მიკვებოდა ლექსი, რომელშიაც ადოლფი დახასიათებული იყო როგორც მშინარა და მებეზარა.

— კარგი, მე გაჩვენებ შენ ვინ არის მამებლარა! — ჩაილაპარაკა გულმოსულმა ადოლფმა და თავის მერხზე დაჯდა.

იმ დღეს პირველ გაკვეთილზე ოსკარი უნდა შემოსულიყო. ოსკარი დიდი ცრუმორწმუნე იყო. ბავშვებს სულ იმას ჩასჩირნიებდა, სამღვთო წიგნები

ადოლფისათვის კი აქ ნამდვილი უკუნი იყო. მაგრამ აი მაქსმა ლამაზა აანთო.

მკრთალ შუჭზე გამოჩნდა შევიღ-რვა წლის ფერ-მკრთალი, გაძვალტყავებული ბიჭუნა. მას დაფლეთილი პერანგი ეცვა, თვალის ქუთუთოები სულ ჩაღურჯებული ჰქონდა, ხელები უტაცებებდა.

ეს იყო მაქსი, რომელიც ასე ტიროდა ბავშვების მისვლამდე.

ფრიდრიხმა თვალი მიმოავლო გარშემო. პატარა ოთახის კედლები სულ ნესტიანი იყო. ჭერს აქა-იქ ობი ეკიდა, რომელიც სულს უხუთავდა ადოლფსა და ფრიდრიხს.

კედლიდან ცოტა მოშორებით იდგა ხის ძველი ტახტი, ტახტზე დაძინძილი ფარდაგი და საბანი იყო გადაფარებული.

— რათა სტიროდი, მაქს? — ჰკითხა ფრიდრიხმა, რა რომ თვალი მიმოავლო ყველაფერს.

— მე... მე შშია. ავადაც ვარ. დედა მყავს, სულ პატარა ძმაც. დედა მუშაობს, ძმაც თან მიპყავს. მეც ვმუშაობდი, მაგრამ დამითხოვეს, სუსტი ხარო.

ფრიდრიხი მიხვდა, რაშიც იყო საჭე. ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის ფულები, დაყარა ტახტზე და თქვა: — მაქს, ეს ფულები მამაჩემმა მომიცა წიგნებისათვის, მაგრამ არა უშავს რა, შენ წაიღე. ოყიდე, რაც გინდა. მე კიდევ ვნახავ.

ბავშვებმა დატოვეს ახლადგაცნობილი ბიჭი და სკოლისაკენ მოკურცხლეს. როცა სკოლაში მივიდნენ, დანახეს, რომ სწავლა დაწყებული იყო.

მაღე ზარიც დაირეკა. გამოვიდა პირველი გაკვეთილი.

მოხუცმა მასწავლებელმა, რომელსაც ოსკარს ეძახდნენ, შენიშნა თუ არა დაგვიანებული ბავშვები, თავისთან მიიხმო.

— დღეს თქვენ, ფრიდრიხ ენგელს, პირველად დაარღვეო წესი, პირველად დაიგვიანეთ. რა იყო მიზეზი?

ფრიდრიხმა მორცხვად დახარა თავი. რა ეთქვა: ტყუილი? ის ხომ მატყუარა არ იყო. მართალი?

იკითხეთო, ილაკეთ და პირჯვარი იწერეთო. კლასში შემოსვლისთანავე პირჯვარს გადაიწერდა და ბავშვებსაც აიძულებდა ასე მოქცეულიყვნენ.

რა თქმა უნდა, არც ახლა უღალატა თავის ჩვეულებას. ის იყო იგი ამის შემდეგ გაკეთილს უნდა შედგომოდა, რომ ადოლფი წამოხტა და სიტყვის ნება ითხოვა.

— ბატონო, — დაიწყო მან, — ფრიდრიხ ენგელსმა დამხატა და ლექსიც დაწერა ჩემზე.

— მე რა მოხდა? — ამის გაუგებლად მიუგო მასწავლებელმა, — ენგელსი ყველაზე ნიჭიერი მოწაფეა: ხატვაც იცის, ლექსების წერაც, ენებიც, მუსიკაც, ლოცვებიც... დაჯექით, ადოლფ!

— ბატონო, რალაც უნდა მოგახსენოთ, — არ ჩერდებოდა ადოლფი, — ფრიდრიხ ენგელსმა მე ხომ დამხატა... მაგრამ მას უჯრამს სხვანაირი წიგნი აქვს!

— რა წიგნი? — დაინტერესდა ოსკარი მასწავლებელი, — მაჩვენეთ, ენგელსს ფრიდრიხმა ფრთხილად გამოილიო წიგნი და გაუწოდა მასწავლებელს.

მოხუცი დააჩერდა ყდას და ათრთოლებული ხმით წამოიძახა:

— გოეტე... „ფაუსტი“.

იგი უცებ კანკალმა აიტანა და წიგნი ხელიდან გაუშვარდა. გაოცებული მოწაფეები გაშტერებული მისჩერებოდნენ მასწავლებელს და ვერ გაეგოთ რა მოხდა.

ბოლოს, როცა ოსკარი დაწყნარდა, ერთმა მოწაფემ ვაბედა და იკითხა:

— ბატონო, ვინ არის გოეტე?

— ულ-მერ-თო! — გააგრიძელა სიტყვა მასწავლებელმა.

კლასში ბევრი მართლაც რომ შიშმა შეიპყრო. სულ სხვანაირი თვლით მიაჩრდნენ თავიანთ ამაზნავს.

— თქვენ, ფრიდრიხ ენგელს, — დაიწყო მასწავლებელმა, — ფაბრიკანტის შვილი ხართ და თქვენთვის სირცხვილია იკითხოთ ასეთი წიგნები. მე ამის შესახებ წერილს მივწერ მამათქვენს, შეფუთვლი, რომ თვალყური გადევნოთ.

ოსკარი მასწავლებელმა მართლაც მისწერა წერილი ფაბრიკანტ ენგელსს. ენგელსი საგონებელში

ჩაებადა. მან დაიბარა ფრიდრიხი და აღდგინა კლასი. მეორე იგი ყოველდღე ამოწმებდა თავის ვეც, არიგებდა და ესაუბრებოდა.

ფრიდრიხი ძალიან ჰყვინდა და წესიერი ბავშვი იყო და არ აუბარებდა მამას, უსმინდა მას და ბევრსაც უჯერებდა. თავის ზღას კი მაინც არ ტოვებდა: დედოიდა ფაბრიკაში, ეხმარებოდა საწყალ ბავშვებს, კითხულობდა სხვადასხვა წიგნებს, წერდა ლექსებს, სწავლობდა ხატვასა და მუსიკას, დილით ვარჯიშობდა ბაღში, ხშირად ბანაობდა მდინარეში...

მან შესანიშნავი ცურვა იცოდა. ვერვინ ვერ გადაკრიდა მდინარის ტალღებს ისე, როგორც ის.

ერთხელ ფრიდრიხმა ყველა გააოცა თავისი ცურვით. ეს იმავე წილს მოხდა, რა წელსაც გაიცნო მაქსი. ზაფხულის შიზან დღეში მუშების ბავშვები ბანაობდნენ მდინარეში. ფრიდრიხი და მისი სკოლის ამხანაგებიც წაიღიდნენ საბანაოდ. მიადგნენ ისინი მდინარეს და რას ხედავენ: იმ კარვ მორიგეში, რომელიც მათ უყვართ, მუშები! ბავშვები ბანაობენ.

— ეი, ამოდით მანდიდან, თქვენ შავი ხალხი ხართ და წყალს აუტუყუანებთ! — დაიძახა ერთმა.

ის იყო შემინებული ბავშვები ამოსვლას აპირებდნენ, რამ ფრიდრიხმა შესძახა მათ:

— არ ამოხვიდეთ მდინარიდან, იბანავით, თქვენც გეყოფათ ეს წყალი და ჩვენც.

გახარებულმა ბავშვებმა ისევ დაიწყეს ჭყუპალაობა. მათ შორის იყო მაქსიც, ფრიდრიხის ნაცნობი ბავშვი. ის ახლა უკვე კარვად გამოიყურებოდა.


ახლადმოსულებმა ტანთ გაიხადეს და მდინარის ზვირთებს მისცეს თავი.

— ვინ გაცურავს მორევს ხუთჯერ, მოდით შევეჯიბროთ! — თქვა ერთმა ბიჭმა, რომელიც ბაყაყივით გაშლილიყო მორევში.

— მოდით შევეჯიბროთ! — თქვეს სხვებმაც. გაიმართა შეჯიბრება. ერთი ბიჭი გაეცურა და ნაპირიდან ნაპირამდე, მობრუნდებოდა უკან, ისევ შეტრიალდებოდა და ასე შემდეგ. როცა მეთვრამეტეჯერ სერავდა მორევს, გახარებული მაქსი ხტოდა და იძახდა:

— ფრიდრიხი ისეთი ყოჩაღია, რომ ტბასაც კი გაცურავსო.

ზვირხიხის ნახაშები



ფრიდრიხ ენგელსს შევნიშვრად ეხერებოდა იუმორული ლექსების წერა და აგრეთვე კარიკატურების ხატვაც იცოდა. აი, ნახეთ ზოგიერთი მისი ნახატები.

ს ა ყ ვ ა რ ი დ მ ა მ ს ნ ი ა რ ი

საქართველოს ხიამყე, მეცნიერია-აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, დაიბადა ქალაქ თბილისში, 1876 წლის 11 აპრილს. მამამისი მასწავლებელი იყო, მგარამ მასწავლებლობასთან ერთად ის დიდად იყო დინტერესებული არქეოლოგიითა და მუშაობდა კოდეც ამ დარგში.

ივანე ჯავახიშვილმა უმაღლესი სასწავლებელი დამთავრა 1899 წელს. 1900 წელს მივლინებულ იქნა სამეცნიერო მუშაობისათვის გერმანიაში.

ის ბევრს მუშაობდა მეცნიერების დაუფლებებისათვის და დიდ წარმატებებსაც აღწევდა.

სწორედ ამით აიხსნება, რომ როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში წარადგინა საკონკურსო შრომა, პეტერბურგის საუნეკრისიტეტო საბჭომ დააჯილდოვა იგი მედლით.

ივანე ალექსანდრეს-ძემ ლექციების კითხვა დაიწყო 1903 წლიდან, და ამის შემდეგ, სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე, არ დაღუწებია თავი ამ საქმისათვის. ლექციების კითხვასთან ერთად დიდ საზოგადოებრივ მუშაობას აწარმოებდა და ბევრი სამეცნიერო ხასიათის წინაშეც დაწერა, ახე მაგალითად: „ქართველი ერის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, „ისტორიის ამოცანები, წყაროები და მეთოდები ძველად და ახლა“, „სომხეთის ისტორია“, „მუხიკის ისტორია“ და სხვა.

ეს წიგნები სამარადუამოდ დარჩება თაობებს, როგორც საუკეთესო მეცნიერული მემკვიდრეობის ნიმუშები.

ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებლად მივს რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის ბატონობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთი უვლგან დევნიდა ნაციონალურ ენებს, ივანე ჯავახიშვილი მაინც ახერხებდა ქართულ ენაზე ლექციების კითხვას. მის მიერ 1907 წელს პეტერბურგში დაარსებულ სტუდენტთა წრეში ქართველთა შორის ბევრი საქართველო საკითხი წყვეტილია ქართულ ენაზე, სერთოდ, ის ქართველი ერის დიდი გულშემმატიკვარი იყო.

მშრომელი ხალხის შვილმა დიდი სამსახური გაუწია მშრომელ ხალხსვე.

მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ენები: გერმანული, ფრანგული, ირანული, სირიული, სომხური, ისურბი, აფხაზური, ზუნძური, მეგრული...

მან ჩაუყარა საფუძველი ქართული სამართლის ისტორიას, საქართველოს ისტორიას და სხვა. დიდი მუშაობა ჩაატარა ქართული ტერმინოლოგიის საქმეზე. ამჟამად მცხეთისა და მის მახლობლად წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა. ქალაქ თბი-

ლისში არსებული სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს მისი ინიციატივით არის დაარსებული, სადაც 1926 წლამდე რექტორად იყო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოწაობობი რუსთაველის ემიკის გამაფენა მან შექმნა. ბევრი მისი მოწაფე უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს კითხულობს.

ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ დიდად იყო დაფასებული.



ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი

სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 20 წლის თავზე ის დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1938 წელს საბჭოთა საქართველოს მშრომლებმა აირჩიეს ის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1938 წელს არჩეულ იქნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

სიცოცხლის უკანასკნელ დროს მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის ენის ისტორიისა და მატერიალისტიკის კულტურის ინსტიტუტის კონსულტანტად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კონსულტანტად, რუსთაველისა და საქართველოს ისტორიის განყოფილების გამგედ, კითხულობდა ლექციებს სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიასა და საქართველოს ენაზეც კითხულობდა ისტორიისაში.

ქართველ ხალხს და ჩვენს მეცნიერებს დიდი მოსაზრე მოაკლდა ივანე ჯავახიშვილის სახით, ის იშვიათი იყო, როგორც მეცნიერი, იშვიათი იყო აგრეთვე როგორც პირივნება — სრულქმნილი ადამიანი შინაარსითა და ფორმით, მეტად გულისხმიანი, თავდადებული და უბრალო უველასთან. ასეთი იყო ის.

ამავე იშვიათობით გარდაიცვალა იგი თბილისი საყვარელი მოწაფეების წინაშე, ამა წლის 18 ნოემბერს, საღამოს 8 საათსა და 45 წუთზე; ლექციის კითხვას. თვით უკანასკნელი სიტყვი, ამ ლექციით, რომელიც აგებული იყო თემაზე: „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები“, მან საფუძველი ჩაუყარა ქართული ფილოლოგიისა და მხატვრული მწერლობის ისტორიის შეხედულებათა საკითხის ახლებურად დაკვეთებას.

თუ არა უღმომბელი სიკვდილი, კიდევ რამდენ ხარკელობას მოუტანდა ეს დიდი მეცნიერი საბჭოთა და ევროპულ საქართველოს ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეს? იგი დასაფლავებული იქნა 21 ნოემბერს, მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტის ეზოში.

მშენებელი

თ ა მ ა რ გ უ რ უ ლ ი

კონიციის შვილი, პატარა მწიკრი, ფერმკრთალი, დღეს რომთვლება ბავშვთა (რეზერვ) საც მე ძლიერ სჭვდევანს ერთხელ როგორ სცემეს ჩემი გულისათვის. ჰაინრიხი დღითი ობოლი იყო. იგი სასახლის პარკში თავის ტოლგ

ამ ცოტა ხნის წინ, ერთ დაწესებულებაში შევიდა. ყველა ჩვეულებრივად მუშაობდა, ცილია დღეს-გალეცკაის გარდა, რომელსაც ჩემ-ჩემად ელიმბოდა და წამდევს წითლებოდა. მის მაგიდას მივხახვავდი.

—ოჰ, დაბრძანდით, ამხანაგო თამარ! —წამოიძახა ცილიამ და სკამი მომაწოდა.

—თქვენ დღეს არაჩვეულებრივად გამოიყურებით, —ვუთხარი მას და ჩამოვჯექი.

—დიხ, მე დღეს ისეთი სასიხარულო ამბავი მკირს, რომ, მართალი გითხრათ, ვშიშობ რამე შეცდომა არ დადევსვა მუშაობაში.

—არ შეიძლება თქვენი სიხარულის მონაწილე ვაგვხდეთ? —ვკითხე და უცებ ვინანე, ვაითუ უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო მეჭი.

—წაიკითხეთ, ამბავი უკეთ მე ვერ გეტყვით, —თქვა და ორი ბარათი გამომიწოდა.

პირველი დეპეშა იყო, რომელსაც უცებ გადავკაირი თვალთ.

—ჩემი ჯავრი ნუ გექნება, სტალინური ბრწყინვალე მშით გამთბარნი ვაშენებთ დიად მომავალს. მამა*. —ქალაქი გონიონი* —წავიკითხე ფოსტის მრგვალ ბეჭედზე.

—მე კი მეგონა ცოცხლები აღარ იყვნენ, —წაიჭურჩულა ცილიამ და ცრემლებით აკიანთებული თვალები შემომანათა.

—ძვირფასო დიაკო! —ასე იწყებოდა მეორე ბარათი —თელი დასავლეთ უკრაინის ხეები რომ კალმისტარებდალ იქცეს და ყველა წყალი მეღნად, მაინც არა მგონია მეყოს, რომ მოვიყეყე ყველაფერს, რასაც ჩვენ ვანივცდით. ვიცი მხოლოდ, რომ ამ გრძნობას სიხარული ჰქვია და ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ შევეუდქვით, ბედნიერება.

ჩვენ სამშობლოში აღარ არიან მჩაგვრელები, პანები, გერმანები და გრაფები. ჩვენ ისინი გავდევნეთ წითელი არმიის დახმარებით, მე აღარავინ მეძახის ზიზღით ებრაელ შმერკოს. აქ ყველა მშრომელი თანაბარია, —ებრაელი, პოლონელი თუ რუსი. „ებრაელი“ —ეს სიტყვა ჩემთვის ყოველთვის მწარე მათარას ნიშნავდა. დღეს კი მე ვამაყობ ებრაელობით.

მახსოვს, ბავშვობისას ბაღში შუბარულს როგორ მერიდებოდნენ პოლონელი პანების შვილები, რასაკვირველია, უფროსების შთაგონებით, მაგონდება პოლ-

ბთან თამაშობდა, მე ლობესთან ვიდექი. დამინახათუ არა, კიშკარი გამიღო, გამიძინა და მიმიპატრია. ჰაინრიხს ჩემი სიმღერა უყვარდა და სადაც დამინახავდა, აღარ მშორდებოდა. ახლაც ასე მოხდა.

—მოდი, შმერკო, მოდი! —თან ჰაინრიხმა ხელუბი ჩამკიდა, მეც გაუბედავად შევბიჯე. ბავშვების ძიძები მოშორებით ისხდნენ და ბაასობდნენ. ჩემი მიხვლა არავის გაუგია.

—ჰა, ჰა, —ჰაინრიხმა მფელო მუჭა კონფეტები გამომიწოდა, რომლებსაც მე ხარბად დავეწყე განადგურება.

უცებ ჰაინრიხმა ტოლელი დატოვა და ბალის მივარდნილ კუთხეში წაიყვანა.

—იმღერე, —შემეხევეს ის. უკანასკნელი კონფეტი სწრაფად გადავყლაპე და დავიწყე ჩვენი ებრაული „ცურების“ სიმღერა. ხომ იცი მისი მშუხარე მელოდია.

ჰაინრიხი ჯირკზე ჩამოვდა და თითქოს მიიძინაო. საწყალ ბავშვს ავი დედინაცვალი ჰყავდა, რომელიც მას ცუდად ეპყრობოდა. მამა კი მუდამ ვარეთ იმყოფებოდა. შეხედე —ბავშვი მოწყენილია, შემებრალო. ხელები გაგშალე და დავიწყე „ნახისის“ ცეკვა. ჰაინრიხი გამოცოცხლდა და ამყვა. ბევრი ვიცეკვეთ და ვიცინეთ, მაგრამ ჩვენი მხიარულება ჰაინრიხის დედინაცვლის ვლადისლავას გამოჩენაზე შეწყდა. როგორც შემდეგ ვაგიგე, ძიძის მოეყვანა ის ქაჯი.

—არით ერთობით, ბრწყინვალე პანო, —ირონით მიმართა მან ჰაინრიხს, რომელსაც ფერი დაეკარავა. თვალები უფრო ღიბრონი ვაუხდა.

—მე, მე... —ცდილობდა ბავშვი რაღაცის თქმას, მაგრამ ვერ ახერხდა. იგი დაინბა და თავი ჩალუნა.

—მე შენ გაჩვენებ, როგორ უნდა ებრაელების ბინძურ ბავშვებში თამაში! დღეიდან შენ მზეს ველარ ნახავ! —იქვე იღნენ ჰაინრიხის არამკვიდრი დები, თერთი ბავთებით შემკულნი.

—თი! —თქვა ლიალიამ და ზურგი შემაქცია. მის მაგალითს მიჰპაძა პატარა ფრანამამაც. ქალიშვილები ვარეგნობით ლამაზები იყვნენ.

—წამოღით, შვილებო! —თქვა ვლადისლავამ და ქალიშვილებს ხელი მოჰკიდა.

—თუშკა რას უნდა მოველოდე დედაშენის შვილისაგან, —დასკვნა მან და ჰაინრიხს კუშტად ვადმოხედა.

* უბედურება.
* სიხარული.



— მოდი, შერკო, მოდი! — ჰაინრიხმა ხელი ჩაჰკიდა.

— ჩემ დედას ნუ ენებო! — ისტერიულად დიკიკოვლა ჰაინრიხმა.

ბავშვს სცემეს სახლში. კარები ჩაუკეტეს. ერთ ღამეს ჰაინრიხი ფეხშიშველი გამოპარულიყო სახლიდან. მთელი ღამე ბაღში ესერიდა. ბავშვს ჰაერი ენატრებოდა. საწყალი გაცივდა და გარდაიცვალა. მაგრამ მე ის არ დამეწყეებია, ხშირად მთვარიან ღამეში გადავიაპარებოდი კოსტელის¹ რკინის ღობეზე, მივარდნილ კუთხეში მოგნახავდი ჰაინრიხის პაწია საფლავს.

— ვიღერო, ჰაინრიხ? — ვეკითხებოდი პაწია მეგობარს, ვტიროდი და ვმღეროდი. სიმღერა ხშირად განთიადზე წყდებოდა. ერთხელ დამესიზმრა, თითქოს ჰაინრიხს საცეკვაო მონეტარა. დედას მაცა² მოგპარე: საფლავზე დაფულავე, თან სინთელი აფუნთე და ვემუსიადე.

— იძიე, ჩემო ჰაინრიხ, მანდ ვერ მოგწვდება დედინაცვალი ვლადისლავა! — ხელები გავშალე და დავიწყე ცეკვა, თან ვმღეროდი. შემდეგ სიცილი დავიწყე, მეგონა, თითქოს ჰაინრიხიც იცინოდა. უცებ ვილაკამ ხელი მაგრად ჩამჭიდა. ეს კათოლიკების ქსენი³ იყო.

— პატერ! — შევეძახე შეწინებულმა.

— ებრაელის ბინძურ ბიჭს რა უნდა ქრისტიანების სასაფლაოზე! — ჩამისისინა მან ყურში. — გასწვი აქედან.

— ეს ჩემი მეგობარია, ჩვენ ერთმანეთი ვეყვარება, ჰაინრიხს გაუხარდება, ნუ დამიშლით...

შემდეგ აღარაფერი მახსოვს. გონს რომ მოვედი, კოსტელის ცივ კიბეებზე ვევედი, ცხვირიდან სისხლი წლიოდა. კოსტელის მუხის მძიმე კარიდან ჯვარცმული ქრისტე გამოიყურებოდა.

— შენ, შენ თუ ღმერთი ხარ და ყოველივეს შემძლე, რატომ ითმენ ამდენ უსამართლობას? — შევძახე ქრისტეს და შინისაკენ წაებარაბოდი.

გული მტკიავა მწარე მოკონებაზე, მაგრამ მე თვითონ არ ვიცი, არ ვიცი, ჩემო საყვარელო დაო, რა-

ტომ ვიგონებ წარსულის შხამს. მახსოვს, მაგრამ ჩემმა რომ საშუალო სკოლაში მიმიყვანა.

— ებრაელს რად უნდა განათლება, ებრაელმა ხელობა უნდა იცოდეს, ამისთვის უნდა ელდერში მიღებული განათლება სკოლაში საკმარისია, — თქვა დირექტორმა იესუიტური ღიმილით და ზარს ფუნთუშა ხელი დააჭირა, რაც ნიშნავდა მე თქვენთან საუბარი გაუთავეო.

შეუღლები ხელობის შესწავლას პან ვიჩე-სლავის პურის საცხობში.

მუშამ ცეცხლთან დგომით სახის კანი დამსკადარი მქონდა, ძნელად ვითვისებდი პურის ცხობის „როთულ“ ხელობას.

არაერთხელ უცემია ჩემთვის პანს, მაგრამ მე ცემა მერჩია „ებრაელის“ წამოძახილს.

პანი კი უკანასკნელიდან იწყებდა და პირველით ათავებდა.

— რა მოვიციდა, შვილო, — შემეკითხა ერთერთი ასეთი ოპერაციის შემდეგ საცხობში შემოსული მამასახე გასიებული მქონდა. თვალკრემლანმა ვუამბე ჩემი ყოფილებების შესახებ.

— უნდა მოითმინო, შვილო, სანამ ხელობას შეისწავლი. გახსოვდეს, რომ შენ ებრაელი ხარ, ებრაელი კი მოთმინებას ნიშნავს, — თქვა მამამ და სინაგოგისაკენ გასწია.

საწყალი მამა, სამართალს ზეცაში ეძებდა. ღმერთი რევეწევაო, მაპარაკებდა ის, მაგრამ ღმერთი ყრუ რჩებოდა, შევლა ახსიდან ჩანდა.

მეორე დღეს „ღმერთი გამიწყაა“ და ორი პური დამეწვა. პანის ლანძღვას ბოლო აღარ უჩანდა.

— შემიწყით ბრძის! — მომიგმა ეზოდან იანკის სუფთა ხმა. იანკის პანის წარმოებაში თვალები დაუბრმავდა და ეზო-ეზო წანწალით ავრავებდა ლუქმას მშვიერი ცოლშვილისათვის. გული სიბრაულოთი ამეგსო.

— აა, წაიღე, — ვუთხარი და დამწვარი პური გავუწოდე.

იანკის თან პატარებიც ახლდნენ, აბრამა და ხაიმა, რომლებმაც სიბრაულოთი გამოგლოჯეს ხელიდან პური.

— აი შე ავაზაკო! — დამიყვირა ამ დროს ეზოში გამოვარდნილმა პანმა ვიჩესლავმა. — მე ეგ პური ღორებისათვის მიწოდდა, ან კი რა გენალღეება პატრონის ქონება, ხან წვევ, ხან არიგებ! შეწინებულმა აბრამამ და ხაიმამ მოკურცხლეს, მათ მიჰყვა მამამ.

თითქმის ერთ საათს მეწოდა ყურის ძირი ვიჩესლავის სილისავან. მაგრამ ის მაინც მიხაროდა, რომ იანკის ოჯახი დღეს პურით მაძლარი იქნებოდა. კეთილი. დაიკო! არაერთხელ მომხვედრია შენი მიზეზით, არაერთხელ წამოუყვებოდა პანს ჩემთვის:

¹ კათოლიკების ეკლესია.
² ებრაული ნაშტავარი.
³ კათოლიკების მღვდელი.

— შენ მადლობელი უნდა იყო ჩემი, არც-
ერთი აღამიანი არ დავაქენებდა სამსახურში,
აბა ვის უნდა რუსეთში გაქცეული კომუნისტი
დის ძმა? იქნება შენი კომუნისტი ხარ? — შე-
მეკითხებოდა ვიარესლავი და თვალებს შიშით
მომამტკრებდა.

ერთ საღამოს ვიარესლავი საცხობ სარ-
დაფში ჩამოგორდა. სარდაფში მარტო მე ვი-
ყავი.

— მიშველე, შმერკო, დამფარე! — შემი-
ვედრა ის.

— რა მოგივლათ, ბრწყინვალე პანო? —
შევეკითხე.

— არაფერი. მე ყოველთვის ვამბობდი,
რომ შენ ქვიანი ბიჭი ხარ. ხვალთან აუცი-
ლებლად ჯამაგირს მოგიმატებ. შენ მუშებში
ნდობა გაქვს. აქ თუ ვინმე ჩამოვიდა. პანი
გონიონძიდან წავიდა-თქო. ასე თქვი, გეთაყუ-
სამაგიეროდ კი..

„მობრძანდით, — მიფუთითე ფურნეზე. —
თქვენს აქ ყოფნაზე არავინ ექვს არ აიღებს.

ფურნის რკინის კარი გამოვიკეტე.

— შმერკო, აქ საშინლად ცხელა! — შემო-
მჩივლა ჩქარა ტყემი.

— არა, ბატონო, მე ყოველთვის ამ ტემპე-
რატურაზე ვმუშაობ.

— საწყალა შმერკო, მე შენ აუცილებლად
მოგიმატებ ჯამაგირს, — ცბიერობდა ის.

— სად არის საცხობის პატრონი? — იკით-
ხეს სარდაფში შემოსულმა წითელარმიელებმა.

— არ არის, ბატონებო, — ვთქვი და თან ფურნეზე
ვანიშნე თვალთ, — გუშინ საღამოთი დატოვა ქალ-
აქი. მობრძანდით, თქვენ ალბათ დამშეული იქნე-
ბით, ნამგზავრი.

— ესენი მე მოვიყვანე, — თქვა მონკამ, ბრმა იანკის
ძმამ.

— მიირთვით თბილი პურები, ჩემი პანი რომ იყოს,
ის ისეთი გულკეთილია, რომ უფრო კარგად გაგი-
მასპინძლებოდათ.

პანმა ფურნეში დაიკენესა, არ ვიცეი, დასცხა, თუ
პური დაენახა.

პურის ჰამას შეუღდენე.

— ოჰ, როგორი გულკეთილი პანი დავკარგე, —
განვარძე ამბავი, — ვებრალებოდი ჯერ როგორც
ებრაელი, მერმე როგორც ხელმოკლე აღამიანი.

— ნეტავი კი გვენახა ასეთი კარგი პანი, — წარმო-
თქვა წითელარმიელმა.

— გააღე ფურნი, იქნებ იქ არის, — თქვა მოხუცმა
სტეფანემ. — ახლავე, ბატონებო, თქვენ თვითონ
დარწმუნდებით, რომ იქ არავინ არის, — ამ სიტყვე-
ბით ფურნეს მივუხლოვდი.

— ნუ გააღებ, შმერკო, — მომიხმა იქიდან ჩურჩუ-
ლი, ხვალთან ჯამაგირს მოგიმატებ.

— მე არ მჭირდება თქვენი ჯამაგირი, — ხმაილდა
ვთქვი და ფურნე გავადე.



სახეგაწითლებული ვიარესლავი ფურნიდან
გამოძვრა...

შავად გამურული, თმაჩრჩილი და სახეგაწით-
ლებული ვიარესლავი შუა ოთახში გამოვიდა.

სიცხისაგან პერანგი გავგლიჯა, თვალბეს უც-
ნაურად ამრიოვლედა. ჯერ გვევედრა, შემდეგ მუქა-
რა დავეიწყო.

ერთ მუშას იარაღის წართმევეც დაუპირა.

მონკას კინლაშე შუაზე გახლირა ძმის დამლუ-
ველი.

— იი შე ძაღლო! — ყვიროდა ის.

ბეერი რომ არ გავაგრძელო, ვიარესლავი და-
აპტიპირეს. მას შემდეგ აღარ მინახავს.

ხშირად გვიხდებდა საათების ვადამუშავება, მაგ-
რამ ჩვენ სიამოვნებით ვმუშაობთ.

საპირველმასოდ ზედმეტი ნამუშევარი საათების
ფულადი ჯოღლე მივიღე, მაგრამ მე ის ისე არ გავ-
მხარებია, როგორც ჩემი სურათის გაზეთში გამო-
ქვეყნება. გამეგმ ხელი ჩამომართვა და მადლობა მი-
თხრა.

შემდეგ სამხედრო აღლუმზე წავედი. ვინაიდან
მოედლი ჩვენი სამსახურიდან შორს არის, ჩვენ მან-
ქანებში ჩავსვენეს.

სამხედრო აღლუმის შემდეგ სამოქალაქო დი-
წყო.



ჩემო დაო, წარმოიდგინე ჩვენი სიხარული. ეს პირველია, რაც პირველ მისს თავისუფლად ვტარებთ, მერე როგორი ზეიმი! ქალაქი მორთულია ყვავილებით, ბაიარლებით...

ხალხი სიმღერითა და ვაშას ძახილით უგლის ტრიბუნას. ჩვენი ბებრებიც იყვნენ, მამას გულისპირზე ვარდი ეზნია, დედას საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის, სურათი მოჰქონდა.

იმით დანახვანზე თვალები ამიცრემლიანდა, დავწვიე და შუაში ჩაუვლედი.

—ოხ, შერკო, შენც ჩვეთან მოხველ? — მითხრა დავყავებით დედამამა.

ირგვლე ყვავილები, მუსიკა და თავისუფლება. წერილის კითხვა დავამთავრე, მაგრამ ადგილი-

დან არ ვიძროდი. აღვლევებული და ვაწითლებული ვიჯექი, თითქოს მიკრული ვიყავი სკამზე.

—ახლა რას აპირებთ? — ვკითხე.

—მე გონიონში მივდივარ, სამმართველოს იმ დადაყვარ სამუშაოდ, ჩემი თხოვნის თანახმად.

ალარ დამპირდება, როგორც კომუნისტს, ბენლ სარდაფში მალვა. მე თავისუფლად, ბენდნიერ სამშობლოში ვბრუნდები, — დიუმბატა მან და თვალზე მომდგარი ცრემლები მოიშორა.

ჩქარი ნაბიჯით ვავედი ქუჩაში.

—სად არ სცივს შენი მაჯა, სად არ სწვდება შენი გენია, დილა ადამიანი! საყვარელი სტალინი კიდევ რამდენ ჩაგრულს გაახარებ და რამდენ ტყვეს მოხსნი ბოტიკლებს. იცოცხლე მარად, იცოცხლე მარად! — ვიწმეორები ხმამაღლა ფიქრის უკნასკნელ სიტყვებს.



უთუოდ, „პიონერის“ ყველა მკითხველმა იცით, რომ ქალაქ მოსკოვში, ამ ორი წლის წინათ, 1938 წლის ზაფხულზე, გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო — სამეურნეო გამოფენა. გამოფენა, რომელშიც ალაპარაკა მსოფლიო, გამოფენა — რომელშიც აღფრთოვანებანი მოიყვანა საბჭოთა სულისკვეთებით აღსავსე ყველა ადამიანი, რომელმაც გაფიქრებამდე განაცვიფრა ყველა ჩვენი მოსისხლე მტერი: თავისი სიდიადით, თავისი ბუმბერაზობით, თავისი სრულყოფით. ეს ის ძლიერებაა, ეს ის სიმდიდრეა, ეს ის სილამაზეა, რომელიც ზღაპრებში თუ წარმოედგინა ადამიანს; აქ კი სინამდვილეა, თვალხილული სინამდვილეა, ნათელი ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ გაიზარდა და განვითარდა საბჭოთა სოციალისტური მეურნეობა.

სრულიად საკავშირო სასოფლო — სამეურნეო გამოფენა, რომელიც გაშლილია 136 გექტარ ფართობზე, ითავსებს ასზე მეტ პავილიონს. მათ შორისაა: ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი, თვითიული რესპუბლიკისა და ოლქის პავილიონები, სასოფლო-სამეურნეო ცალცალკე დარგობრივ კულტურათა პავილიონები და სხვა. იქვე არის ე. წ. მწვანე თეატრი, კინოთეატრი, ესტრადი, ცირკი და ვინ მოსთვლის კიდევ რა. მოკლედ, იქ პატარა, ახალი სასწაულეების ქალაქი გაშენებული.

გამოფენაზე მისული თითქმის ვერც ერთი მწახველი ვერ აუვლის გვერდს, მთავარი შესავალის გა-


რეთ აზიდულ უზარმაზარ სკულპტურას: „მუშა და კოლმეურნი ქალი“. ეს სკულპტურა გაკეთებულია ცნობილი საბჭოთა სკულპტორი ქალის ვერა ეგნატეს ასული მუხინას პროექტით. იგი იღვა პარიზში მოწყობილ გამოფენაზე საბჭოთა პავილიონთან, ახლა ის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესავალთან დგას და ამშვენებს მას.

შეხედავთ ამ უზარმაზარ სკულპტურას, დასტკებით და გაკვირვებით იტყვიან: ნუთუ ეს ადამიანის ხელმა გააკეთაო. და როგორ გვგონიათ, ეს კითხვა მთელი თავისი სიროჟლით, განა არ იღვა თვით სკულპტორის წინაშე? რასაკვირველია. აი რა თქვა მან ამის შესახებ:

— „სკულპტურის თემა შევარჩიე არტიტექტორთან ერთად. ეს უჩნებდა მუშა და კოლმეურნი ქალი, — ვთქვით ყველამ. ვინც კი შეხედავს, მაშინვე უნდა შეიგრძნოს, როგორი გამბედავი და ძლიერი ადამიანები ვყვავან, როგორ მისსწრაფის წინ ჩვენი ახალგაზრდა ქვეყანა, და რომ ვერავითარი მტერი ვერ შექმნებს შეჩეროს ის.

უმათავრესი სიძნელე ის იყო, რომ ჩვიდმეტი მეტრის სიმაღლედ აღმართული სკულპტურა უნდა გაკეთებულიყო ისე, რომ მას სრულად აესხა აღნიშნული თემა.

— ასეთი ზომის ადამიანები არ არიან, — ვფიქრობდი და ოთახში ნერვიულად წინ და უკან დავდიოდდი. ამ დროს ფანჯრიდან გავიხედე. ოთხსართულიან სახლს მოვკარი თვალი. — არის! სკუ-



საქართველოს პავილიონი სრულიად საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.



სკულპტურა: „მუშა და კომუნურენ ქალი“.

ლბტურა ამ სახლის სიმაღლე იქნება, — ვთქვი. მუშის ფიგურა უნდა ვაკეთდეს ათჯერ უფრო დიდი, ვიდრე ნამდვილად არის. რა ზომის უნდა იყოს ხელები, ფეხები?

საკიხი თითქოს უბრალო გადასაწყვეტი—ათჯერ მეტი. მაგრამ თორმე ეს ასე როდია. ჩვენ, სკულპტორებმა და მხატვრებმა ვიცით, რომ ვერტიკალური ხაზები, რაც უფრო მაღლა არიან, მით უფრო მოკლენი მოჩანან. მაგალითად: კაცი ავიდა შენობის სახურავზე და დადგა იქ სრულიად პირდაპირ, ისე როგორც ტელეგრაფის ბოძი. ჩვენ მას შევხედოთ დაბლიდან. მოგვეჩვენება, რომ მისი ფეხის კიდურები ნორმალურია, ხოლო ტანის ზედა ნაწილი მაღლე მოკლე აქვს, თავი ხომ უფრო არაპროპორციული მოჩანს — ძალზე პატარა. ეს თუ ახლოდან უყურებ, მაგრამ თუ შორიდან შეხედავ, მაშინ ყველაფერი რიგზე გამოიყურება.

— როგორ, როგორ მოვიქცე? — ვამობდი და ვწვლობდი. სკულპტურას შეხედავენ ყველა მხრიდან, ახლოდან, შორიდანაც; ბოლოს გადავწყვიტე მუშაობისას ვევერე ამეველო ვერტიკალური ხაზების გამოყენებისათვის, უკეთ ისინი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეხმარა.

დავწყვიტე მუშაობა. დავამზადე რამდენიმე ფიგურა. ერთი მათგანი ასევე მცირე მასშტაბისა, მეორე ოცდაათჯერ, მესამე თუთმეტჯერ და მხოლოდ ამის შემდეგ ქარხანაში დავამზადეთ იმავე ზომის სკულპტურა, როგორც ის ახლა არის.

ასე რომ არ მოვეცემოდით და მხოლოდ ერთი ზომის მოდელიდან დამეზადებინა ნამდვილი სკულ-

პტურა, უთუოდ სადმე ძალზე უსემ შეცდომას დავუშვებდი. ნამუშევარი იქნებ სასაცილოც კი გამოსულიყო.

ამის გარდა, დიდი შრომა და დროს დაკარგვა დამჭირდა თვითელი დეტალის დამუშავებისას. მართო კომპლექსური ქალის თავშალი ხუთჯერ გადავაკეთე.

ბევრს ჰგონია, რომ ხელოვნებაში ყველაფერი ადვილად, უშრომლად კეთდება. აიღებ თიხას ხელში და სკულპტურა მზადაა. აიღებ ფანქარს, ქალაღს და ლექსი დაიწერება. მაგრამ ნამდვილად ასე როდია! კარგად გაკეთებული რამ ის არის, რაზედაც დიდი შრომაა დახარჯულია“.

სკულპტორი ქალის ეს სიტყვები კარგად უნდა დაისმომოთ. მართლაც, მხოლოდ დათენებითი და ხანგრძლივი შრომით შეიძლება მიიღოთ ამითელი საქმიანობაში ბრწყინვალე შედეგი.

აი უკვე მეორე წელია, რაც ეს დიდი გამოფენა გაიხსნა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მშობლიური ქვეყნის თითქმის ყველა კუთხის საუკეთესო ნორჩმა ნატურალისტებმა მიიღეს მონაწილეობა ამ გამოფენაში. მათ შორის საქართველოს ნორჩმა ნატურალისტებმაც.

ამა წლის 15 ოქტომბერს გამოფენა ზამთრისათვის დაიხურა. იგი 1941 წლის ზაფხულზე კვლავ განახლებს თავის მუშაობას. დრო საკმაოდ დიდია. ბევრ თქვენგანს შეუძლია, თუ ის დღემდე არ იყო გამოფენის კანდიდატი, სამაგიეროდ ახლა, 1941 წელს გახლეს.

ტუთულია ხომ არ მოგიწოდებდათ სამკოთა კავშირის ყველა ნორჩ ნატურალისტს თავისი წერილით გამოფენის დირექტორი — აკადემიკოსი ტიციანი: „გულს ნუ გაიტებით, მაგშვებო, განავრცეთ შეუპოვარი მუშაობა. თვითელი თქვენგანს კიდევ შეუძლია გახდეს გამოფენის მონაწილე — ის კვლავ გაიხსნება 1940 წელსაც. იყავით მტკიცენი, ენერგიულად მიაღწიეთ დასახულ მიზანს, და მე დარწმუნებული ვარ, რომ 1940 წელს ბევრს გნახავთ მისკოვში, გამოფენაზე“. ეს მოწოდება ზუსტად ძალაში რჩება 1941 წლისათვისაც.

გისურვებთ წარმატებას.



რავო მღაისი ბედბანი ლაშით?

(ღ ე მ ე ნ დ ა)



წინათ, როცა თანამედროვე ქალაქებისა და დაბების ადგილას დაბურული ტყე იყო, ბულბულეზი ასე მრავალრიცხოვანი არ იყვნენ, მაშინ ქვეყანაზე მხოლოდ ორი ბულბული ცხოვრობდა: დედალი და მამალი. მათი ბუნებრივი შუაგულ ტყეში, დაბალი ნექერჩხლის ხეზე იყო გაკეთებული.

დედალი-მამალი ბულბული უზრუნველად დაფრინავდნენ ტყეში, ხესა და ბალახს შეხვაროდნენ, ხან წყაროს პირას ჩაფრინდებოდნენ, წყურვილს მოიკლავდნენ, წყლის შეხვედრს ეთამაშებოდნენ და ერთმანეთს სველი ნისკარტით ბუჩქებს უსუფთავებდნენ. წყალთან თამაში და ფრთხილი რომ მოეწყინებოდნენ, ყველაზედ ესტუმრებოდნენ, გაშლილ გულში ჩაუნთავებდნენ, დამატობდნენ სურნელებით დაბინძვებულს და შემდეგ ცის სილურჯაში შეინავარდებდნენ. ფრენით რომ მიოდებოდნენ, ისევ თავის ბუდეს მიაშურებდნენ, ბუდის მახლობლად გაშვებულ ტოტზე შემოსვლებოდნენ და მზის ჩასვლამდის ტკბილად გალობდნენ.

როცა მზის სხივები უკანასკნელად გადაკოცნიდა მაღალი ხეების ქორჩებს და საღამოს ბინდი ტყეში შემოიპარებოდა, ბულბულები ბუდეს ჩასხდებოდნენ, ყელიყულს გადააქვობდნენ და ისე ეძიებოდა მანამ, სანამ შორეულ დღეს მზის სხივი ვათენებდას არ მიულოცავდათ.

ასე გადიოდა დრო, უდარდელი და მხიარული, მაგრამ აი ერთ დღეს დედალი ბულბულია პირველი კვერცხი დადო და სიხარულს უფრო დიდი სიხარული დაემატა. პირველ კვერცხს მეორე მოჰყვა და დედალი ბულბული ბუდეს აღარ მორდებოდა. მამალ ბულბულს ცოტა არა იყოს სწყენდა, რომ მეგობარი ძველებურად აღარ მისდევდა სასიეროდ, მაგრამ ისე უყვარდა, რომ საყვედურს ვერ უხედავდა. რამდენიმე დღის შემდეგ დედალი ბულბული მოკრულდა, კვერცხებზე დაჯდა.

მთელი ლამების განმავლობაში დედალ ბულბულს ტკბილად ეძინა. მისი მეგობარი კი კენესოდა, ტროლიდა, მოთქვამდა თავის ბედზე.

ასეთ წამებში სამმა ლამემ გაიარა, მეოთხე ლამეს ერთობლივ კიდევ შეეხვეწა მამალი ბულბული — ნება დაელოთ მის გვერდით მოთავსებულიყო, მაგრამ კვლავ ცივი უარი მიიღო. მაშინ აფრინდა გულზე ჯავრმომყოფილი მამალი ბულბული, ათი წრე გააკეთა ბუდის თავზე, შემდეგ მახლობელ ტოტზე შემოჯდა და დაიწყო სიმღერა. ამ სიმღერაში ჩაღვრილი იყო უსახურყო სივდა, დარდი, უარმყოფელი მეგობრისადმი მიმართული მძურგა და უსახურყო ჩივილი საკუთარი ბედის უკუღმართობაზე. კენესოდა ბულბული, კენესოდა მისი პატარა გული, და ეს კენესა ისეთ ჰაერობაზე ბერათა ქლერაში იყო ჩაქოვილი, რომ თვით ცასაც კი შეგებოდა მტრიალი ბულბული, ცასაც მოჰნდა თანაგრძნობა

გაეწია გულდაკოდილი ფრინველისათვის და მცირე რამ ნისლი მოაგროვა ბუდის თავზე, წვიმის წვეთები ცრემლებად გადმოაქურთა ნექერჩხლის მიდამოებში. მამალი ბულბული შეკრთა, გული ეტყინა, რომ მისი საყვარელი მეგობარი სველდებოდა, ფრთხილად გაშალა ფრთები, რათა საყვარელ მეგობარს ფრთების შრიალზე არ გაღვიძებოდა, ახლო მიიწია, ბუდის ნაპირზე ჩამოჯდა და თავისი ფრთა მძინარ ბულბულს გადააფარა.

ცამ ნისლი გადაიყარა, მამალი ბულბული კვლავ თავის ადგილას მოთავსდა და კენესა ვანაგ-ძო. შორი მთებიდან ვარსკვლავი გამოჩნდა, და მამალი ბულბული უფრო აცხვესდა. ჟუკებ მისი თვალებიდან ორი დიდი ცრემლი გადმოგორდა, მას სხვები მოკენენ, და ბულბულის პატარა თვალებიდან ცრემლმა განუწყვეტილად დაიწყო ტოხვა. ცრემლთა ნაკადმა ნექერჩხლის ტანი დაასველა, დაბლობის ჩაქვა და ნექერჩხლის ძირში მიწა გააპოხიერა; მამალი ბულბული მაინც მღეროდა, მაინც კენესოდა და ცრემლთა ნაკადს აპყურებდა. ხლო როცა ქუჩია ვარსკვლავი სრულიად ამოვიდა ცაზე, მაშინ მტრიალმა ბულბულია შენიშნა, რომ ნექერჩხლის ძირიდან ათათლოს ყლორტები ნექერჩხლის ტოტებამდის დათიხარდა და ბუდის შემოვრტავა, შემდეგ უამრავ წვირლ ბუსუსავან ძარღვად გადაიქცა და ბუდის თავზე გადაიკრას ლამობდა; მამალმა ბულბულმა იგრძნო, რომ მეგობარს დაღუპვა ელოდა, უფრო მოშუბატი კენესავრე ჰანგავს, უფრო დასვედიანა მომაჯადოებელ ბეგრათა რხევა და ბუდის ზევით აწვდილ ტოტზე შემოჯდა. იქიდან ჩამოჰკენესა მეგობარს და გულდამთუთაქავი ჰარმონიულიობით ამკნო მოახლოებელი უხედურება. დედალ ბულბულს ტკბილად ეძინა და მამოს გამაფრთხილებელი კენესა სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა. ფათათლოს ყლორტები კი იზრდებოდა და საცაა ბუდეს მთლად დაფარავდა. მაშინ დასველდებულმა მამალმა ბულბულმა უკანასკნელად ამოიკენესა, გადმოაპყურა ცრემლები და უსუსლოდ დეკა ბუდის კიდებზე. ნამძინარეც დედალ ბულბულს დაღუპარე ცრემლი ყელზე დანეწყეთა, შეკრთა, შეიფრთხილდა და დიდის წვალებით გაუსხლტა ფათათლოს ყლორტებს. თავზარდაცემული დედალი ბულბული ნექერჩხლის კენესაზე შემოჯდა და იქიდან ჩამოხდა თავისი სამყოფელს. ბუდის კიდებზე უსუსლო მეგობარი შენიშნა, შეგებოდა, უნდოდა ეტრია, მაგრამ მოზღვაებულმა სიბრალულისა და მონანიების გრძნობამ ენა ჩაუფლო და სიმუდამოდ დაამუნჯა მგალობელი ფრინველი. მას შემდეგ სიმღერის უნარი მხოლოდ მამალ ბულბულს შერჩა; ამავე დროს მას ჩვეულებად გადაეცა ლამით სიმღერა, ისიც ვათენებისას, როცა ქუჩია ვარსკვლავი გამოჩნდება ხოლმე ცის ტატნობზე.



ადლო მესხიშვილი

ნიკო გვაჩაძე

რესპუბლიკის დამაზღვრებელი პარტისტი

ერთხელ თეატრში რაკვანინის პიესა „გულის-თქმა“ გადიოდა. მე პარტერში ვიჯექი და გულის-ფანქვალთ ველოდი წარმოდგენის დაწყებას. თეატრი გაქვდილი იყო ხალხით; ყველამ იცოდა, რომ ამ საღამოს პიესაში ტამილინის როლს ადლო მესხიშვილი შეასრულებდა, ამიტომ მოსულყოფი ასე ბლომად მაყურებელი.

მეღე დადგა ჟამი, როდესაც ადლო თავისი მოვალეობის შესრულებას უნდა შესდგომოდა.

ფარდა ახდლია. სცენაზე არაფერია არის.. წუთიც და შუა კარებიდან წელი ნაბიჯით შემოდის ტამილინი (ადლო). ის იხდის ცილინდრს, იძრობს ხელთათმანებს და ჩადებს ცილინდრში. მიტრიალდება და გადის უსიტყვოდ განის კარებში. კოტა ხნის შემდეგ კულისებიდან მისის ქაღალის კივილი. გაიღება კარი და გამოჩნდება ტამილინი. იგი გაჩერდება იქვე.

ჩემი და, ხმას არ იღებს, მაგრამ მის სახეზე ნათლად ჩანს, რომ ამ ადამიანს რაღაცა უსაშინელები ტრაგედია განუცდია: თვალები დანადგლიანებული აქვს, სახე ვაფთოტებული, მთელი სხეულით ცახცახებს. გრაფინიდან წყალს ასხამს ქიქაში და სვამს. წყლის სმის დროს ისმის კბილების კაკუნი. მეკრე მიტრიალდება, ამოიღებს ცილინდრიდან ხელთათმანებს და ნელა იცეკვს. ნელა იხურავს ცილინდრს და ნელა ნაბიჯით გადის სცენიდან. ფარდა ნელა ეშვება.

მთელი დარბაზი ისეა დატყევიებული, რომ სკამიდან არაფერ იძვრის. მაყურებელი ნელნელა ერკვევა, რომ თეატრის დარბაზში იმყოფება. ატყდება ტაშის გრიალი, ვაშას ძახილი.

აი ასეთი უსიტყვო სცენით ადლო მესხიშვილმა ასე მოხიზლა მაყურებელი, ხოლო როცა ის ლაპარაკობდა, პირდაპირ სიამოვნებას გრძნობდით. მას ჰქონდა მშვენიერი, მომაჯადოებელი ხმა.

ადლო დაჯილდოებული იყო ყველა იმ ღირსებით, რაც საჭიროა მსახიობისათვის. ჰქონდა იშვიათი მიმიკა, რომლითაც ყოველგვარი გრძნობისა და განცდის გადმოცემა შეეძლო. ჰქონდა მშვენიერი სცენიური მანერები. ადამიანს ხიბლავდა მისი თაფლისფერი, დიდრონი თვალები, გამომეტყველი სახე, იშვიათი სილამაზე. ასეთი ლამაზი, წარმოსადგვი ვაჟკაცი თითქმის არ მინახავს.



ხალსს ძალიან უყვარდა ადლო — ნიჭიერი, ყველაფრით დაჯილდოებული მსახიობი. მისი თამაშის დროს მთელი თეატრი მაყურებლებით ივსებოდა.

როცა ადლო ქუთაისიდან თბილისში ჩამოვიდა საგასტროლოდ (იგი მაშინ ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელი იყო), ქალაქში დიდი ზენი გაიშარა მის პარტიესაკენ.

ადლოს კარგად შერჩეული რეპერტუარი ჰქონდა, ის დგამდა შექსპირის, მოლიერის, ჰიუგოს, გოგოლისა და ოსტროვსკის პიესებს. მთავარ როლებს თითქმის ყოველთვის თვითვე ასრულებდა.

მსახიობ კოტე მესხისაგან გამოვიდა, როცა ადლო რუსეთიდან თბილისში დაბრუნდა და „ყარლუში“ პირველად ფრანკის როლი ითამაშა, მეორე დღეს მთელი თბილისი ლაპარაკობდა და მეორე წარმოდგენაზე აუარებელი უცხო ეროვნების მაყურებელი მოაწყდა თეატრსო. ადლო მესხიშვილის მსგავსი გენიალური არტისტები იშვიათად იბადებიან და, ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ყველას სურდა ეხილა და ევრძნო ეს ბუნებით დაჯილდოებული მსახიობი.

ადლო მესხიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1857 წლის 16 თებერვალს, გარდაიცვალა 1920 წლის 23 ნოემბერს.






ტიმუტი ი. გილანისა

არხინად, ლაღად ცხოვრობს
ეს კრელოთვალა შავი კატა,
მან ჭალაქი საკრამენტო¹
საბრძანებლოდ გაიხალა.



ოქრო-ვერცხლი, მარგალიტი
მას პატრონმა მზითვალ მისცა,
ბინაცა აქვს, სმაც და ჭამაც —
რალა უჭირს ასეთ ციკას?²




კარგად ცხოვრობს იქ კნუტიც კი.
უკეთესად, ვიდრე კატა:
მილიონერ ცოლ-ქმარს იგი
შინ ჰყავს შვილის მავიგრალა,
გამდლელები თავს აღგანან,
მასთან ჭამენ, მასთან წვანან.

აბა ერთი დააკვირდიო
ამ ბუროყუსა, ამ ძალღს ყურშას,
„მანიკურებს“ უკეთებენ...
ასეთ ყურშას რალა უშავს?³

ქალაქი ამერიკის შვირთებულ შტატებში.




ან რა უჭირთ ასეთ ძალღებს,
ჩასკუჟულან ლოჯაშია,
ოპერეტით ერთობიან,
რა თქმა უნდა, არცა ჰშიათ!



აბ ბებერი ბულდოგი,
პირს ძეხვებით იტკარუნებს,
ქეიფი აქვს რესტორანში,
ქიქა-თეფშებს აწკარუნებს.



როცა ძალღი ასე ძღება,
ვილას უჭირს იქ ცხოვრება?



აი ვის უკირს იქ არსებობა,
ვისთვის ბნელია მზეც კი მცხუნვარი,
გამოუთქმელად ვინ იტანჯება,
დადის მშიერი, დადის მწყურვალი,
აი მშრომელი კაცის ოჯახი,
აი ბავშვები, მუღამ მტირალი!

იმათი ყოფა, აუტანელი
ასე რომ მიდის, დიდია ხანი,
უმუშევრად დაარჩენილ მამას
ჰურიც არა აქვს შინ მოსატანი;
იქ ძაღლებიც კი უკეთ ცხოვრობენ,
ვიდრე მშრომელი ადამიანი.

თავისუფალი თარგმანი ალ. მარშანიძისა.

ქართული დედა

ალ. მანიძე

კანთიადია, მზე ზირველ სსივით
გადავხვია შთაწმინდის ძაღლობს,
ჩანდა შეინჯარი შორს აღმასივით,
არღუნისა და არავგის ხსლო...

შემოქცება ფოთლებშრილსა
დიდ ზანთონის მუღარო კარები...
იუბე ვოველთვის და უფრო ხსლა,
ქართულის დედაო, ხარ სავარული!

გულს გესვყოდა დაუძვსრალ აღად
აფართქალებულ არწივის ფრთები,
შენი ამბორი და ავანანა
იყო მოძავალ იმედის მსუბები...

„ქართულის დედა! ბუბე ქართულისა“...
გრძნობით კიძღურა დიდმა ილიამ,
და ვერ შეკლასა შავ დროთა რისხვამ,
თუძე ბუერჯურ მქუნრით გზა გავივლია.

დიდება მარად შესს უკვდავ მანდილს,
ხარ სავარული დედა მძობელი,
რომ ხალხს მიეცი დიდი ბეღადი,
მისი გრძნობის და ფიქრთა მქრობელი!

სსივები გათოვს ლაღისფერ გუნდად
შენი უბიდან აფრენილ შისსა,
ვინაც არის და იქნება მუღამ
ჩვენი იმედი და ჩვენი წინსვლა...





(დედაქალაქების ისტორიიდან)

ერეკანი სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქია.

შეიძლება თამაშად ითქვას, რომ ერეკანი საბჭოთა კავშირში შემაჯავალ რესპუბლიკების დედაქალაქთა შორის, თბილისთან ერთად, ყველაზე ძველია.

სახელწოდებას «ერეკანი» საფუძვლად უდევს «ერიაინი», რომელიც ცნობილი იყო ძველი ქალაქების, ანუ ურარტულების, ბატონობის (IX — VI საუკუნეები ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ტემ მგოფი მხარე, აწინდელი ერეკნის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილი, რომლის ცენტრსაც ასეთვე სახელი ჰქონდა. ქალაქების დროინდელ ნაგებობათა ნაშთები ახლაც არის ერეკნის მახლობლად, სახელდობრ ნაკიბარ «არენ»-ში, ერეკნის ზემოთბან ნორკის მახლობლად, აგრეთვე ე. წ. «კარმირ-ბღურში» (წითელი ბორცვი) და სხვა.

სომხურ საისტორიო მწერლობაში ერეკნის სახელი პირველად გვხვდება კრებულში, რომელიც «ეპისტოლეთა (ანუ წერილობა) წიგნის» სახელით არის ცნობილი და რომელიც პირველად VII საუკუნეში ნამოყალიბდა; აქ იქონიეს სასულიერო პირია მოხსენებელი «ერეკნიდან» — დავითი და ჯოჯაჯი.

V — IX საუკუნეებში, როდესაც სომხეთი დაპყრობილი იყო სპარსეთ-არაბებისა და ბიზანტიის მიერ, სომხეთის მთავარი ქალაქები იყვნენ სპარსეთ-არაბების ნაწილი დღინი, ხოლო ბიზანტიისში კარინი, ანუ თოდაოსიოპოლი; კარბოლ დღინი, აწინდელი ერეკნიდან 20 კილომეტრის დაშორებით აღმოსავლეთისკენ, სპარსეთის (ირანის) მეფის წარმომადგენლის — მარხანის — ადგილსამყოფელი) იყო, ერეკანი კი სავრთოდ ან ულ არ იხსენიება, ან იწვიათად.


სივნიეთის დედაქალაქ მარიაოპის ერთს სივლში 874 წლის თარიღით, რომელიც სევანის (გაგის) ტბის ტუნელზე მდებარეობს.

ძარე ნამონასტრალის ერთერთი ცელსისი გუმბათის ყელზე არის ამოკრილი და რომელსაც შემდეგ XIII საუკუნის სომხი ისტორიკოსი სტეფანე თრბერლიანი იმეორებს, სევანის მონასტრისადმი ნაბიძგ მრავალ მიწასა და ვენახს შორის, სხვა-საშორის, მოხსენებულია «ერეკნი ერეკნის». ეს ცნობა იმის მარეგებელია, რომ IX საუკუნეში ერეკნის გარშემო ბაღები და ვენახები ყოფილა, XI საუკუნეში ერეკანი მოხსენებულია იმ არხებთან დაკავშირებით, რომლებიც გაყვანილი იყო ათეული კილომეტრის დაშორებით. 1441 წელს ერეკანი იხსენიება როგორც სადავო თურქმენთა ყარა-ყოიუნლუს (შავი ბატონის) ტომის მმართველი იალუბ-ბეგისა, ხოლო 1471 წელს — თურქმენთა ალ-ყოიუნლუს (თეთრი ბატონის) ტომის მმართველ უზუნ-პასანისა.

სპარსეთ-ომანეთის ომების პროცესში XVI — XVIII საუკუნეთა მანძილზე ერეკანი ხან სპარსელების ხელშია, ხან ოსმალებისა, ხოლო XVIII საუკუნეში იგი სპარსეთის ერთერთი სახანოს, ანუ სამეფო-არბეგის ცენტრია, რომელიც XVIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქართველთა მეფის ირაკლი II მიერ იქნა განთავისუფლებული.

1795 წლიდან, ალა-შამხად-ხანის დაშქრობისა და თბილისის აოზრების შემდეგ, ერეკანი კვლავ სპარსელების ხელშია, ახლა უკვე როგორც ადგილსამყოფელი პირველ ხანგში სპარსეთზე ნაგებრად დამოკიდებულის, შემდეგ კი დამოუკიდებელი სარდარისა.

სპარსელების ბატონობის დროს აქ მდინარე ხანგის, ანუ ჰრახანის, ნაპირზე აგებულ იქნა ისტორიულად განთქმული ერეკნის ციხე, რომელიც მდებარეობდა სარდარის სახანოს თვისი დარბაზით, შემხანდით, შადრევნებით, ბაღითა და სხვა. ამ ციხეზე იერიში მიიტანა 1804 წ. გენერალმა ციცი-



ბარელიეფი: XIX საუკუნის სომხური ქალაქის ყოფა-ცხოვრება.



ყველაზე უდიდესი

მსოფლიოში ცნობილ სხულთა შორის ყველაზე უდიდესი ვასკოლავინა ანტარსი. ის მოცულობით 36 მილიონჯვარ ალამატება წესს.

ყველაზე პატარა

ბუნებაში ცნობილ ნივთიერებათაგან ყველაზე პატარაა წყალბადის ნაწილაკი — ატომი (პროტონი), ისინი ლიპიბტრი დაჯლოებით მისაწარება მილიმეტრის მილიონედს მილიონედს.

ყველაზე მკვირი

მატარია, რომლისგანაც უმჯობეს ვასკოლავინ ვანანა თანავასკვლავ რიგით, ნახვარ მილიონჯვარ უფრო მკვირია წყალზე. ამ ნივთიერების ალფაზის მარცვლის ოდენა ბურთულა აიწონის ალბათ მთელ ტონას.

ყველაზე სწრაფი

თანამედროვე მიცნეიამისა და ტანკისათვის ვეარ-ვეარობით ყველაზე სწრაფად ცნობილია მანათობალი სნივები და კალიოტალეები, რომელნიც სპეულეში 300. 000 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებენ.

ყველაზე ხეალი

წესს და ვასკოლავებს შორის უმჯობეს არეში ტემპერატურა 50 მილიონ გრადუსს აღწევს. მიცნისთავის თავის ოდენა ნივთიერებას. მკოვს ანთი ტემპერატურაში, უმქლია სრულიად გადაწვის ირგვინ ყველაფერი 1.500 კილომეტრის მანძილიდანვე კი.

ყველაზე სივი

ახსოვლტური სივივე. ბ. ი. სითვოს სრული არაკარება-273°. მიცნეიკანი ლავოკატორიკივი აღწვენ ახსოვლტური სივივისაგან რამენიდა ათასი გრადუსით განსხვავებულ ტემპერატურას.

ბინაქსი

	გვ.
1. არნოლდ მაჩაბელი — როგორ ანევიფრებდა ყველას პატარა ბიჭი	1
2. იოსებ ნანობაშვილი — საყვარელი მეცნიერი	4
3. თამარ გუგული — შმერკო (მოთხრობა)	5
4. დიდი გამოფენა — (წერილი)	8
5. თურგენ შანშიაშვილი — რატომ მღერის ბულბული ლამით?	10
6. ნიკო შვარცე — ლადო მესხიშვილი	11
7. ი. ბილანიანი — ვის აცხოვრებენ მდიდრები კარგად?	12
8. ალ. შანიძე — ქართულის დედა (ლექსი)	13
9. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი — ერევანი	14
10. ოსკანეს კარაპეტიანი — აბდულა (ზღაპარი)	16
11. მურგენ ლეგანიძე — საოქტომბრო სიმღერა (ლექსი) გარეკანის მე-2 გვ.	გვ.
12. ბუნების რეკორდები	გარეკანის მე-3 გვ.
13. გასართობი	გარეკანის მე-4 გვ.

ქრნალი გათრმებულია მნატე. ი. ქოქიაშვილისა, ი. ჯაფრუშვილისა და დონის მიერ.
 ყდაზე: მუშაობა პიონერთა ოთახში. ნახ. ა. სავინისა.

ყდა დაბეჭდილია „ოცეტრ მანქანაზე“ „ხარია ვოსტოკას“ სტამბაში.



